ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 122

ქალაქი ქუთაისი 31 ოქტომბერი 2018 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის
25 თებერვლის №115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №115 განკარგულებაში, კერძოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხას დაემატოს №834 - №839 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2018 წლის 31 ოქტომბრის

№ 122 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების

საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი

ობიექტების ნ უ ს ხ ა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი
1	2	3	4	5
834.	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ჟიული შარტავას ქუჩა № 2-36-ის ჩრდილოეთით	40	03.01.24.822
835.	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ჟიული შარტავას ქუჩა № 2-36-ის ჩრდილოეთით	26	03.01.24.820
836.	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ჭავჭავაძის ქუჩა №32-ის დასავლეთით	42	03.01.24.821
837.	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ლეონიძის ქუჩა №6ᵃ-ს აღმოსავლეთით	16	03.06.25.619
838.	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, სულხან – საბას გამზირი № 19ᵃ	72	03.05.28.141
839.	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა № 52ა-ს მიმდებარედ	42	03.05.22.733

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია